იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 15 (199)

აგვისტო,

1968 წელი



ზუგდიდი, სოფელი რუხი

ყოველწლიურად იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი სოფლად. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აგებენ თანამედროვე არქიტექტურის კულტურის სახლებს, კლუბებს, ბიბლიოთეკებს.

ახლახან ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეობამ ააგო კულტურის ახალი სახლი 600-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზით. ახალ ორსართულიან შენობაში მოთავსებულია აგრეთვე ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, სხვადასხვა წრეების სამეცადინო ოთახები და კოლმეურნეობის გამგეობა.

სურათზე: ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ კულტურის ახალი სახლი.

საქართველოს სსრ ცენტრალური ბიბლიოთეკა



ათასობით ქართველი ჰაბუკი და ქალიშვილი ეუფლება მეცნიერებას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც ახლა მისაღებ გამოცდებზე ცდიან თავიანთ ცოდნას აბითურიენტები. სურათზე: ინსტიტუტის ახალი კორპუსები საბურთალოზე.

მხოლოდ საუკეთესო

საქართველოს მრეწველობამ წელს აითვისა მთელი რიგი ახალი ჩარხების გამოშვება, რომლებიც განკუთვნილია მანქანათსაშენებელი, ხელსაწყოთსაშენებელი, მეტალურგიული მრეწველობისათვის.

ყურადღებას იპყრობს სპეციალური ჩარხი — ავტომატი „ტტ-141“, რომელიც კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივმა შექმნა. იგი ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას და გამორიცხავს ლითონის დანაკარგს.

„ტტ-141“ ერთ-ერთია იმ 20 სხვადასხვა სახის სპეციალური ჩარხებიდან, რომლებიც კიროველებმა წელს უნდა აითვისონ.

შემკვეთებს მოეწონებათ სხვა ჩარხიც, რომლის დეტალების დამუშავების სიზუსტე აყვანილია ნახევარ მიკრონამდე. იგი დაამზადეს თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაში. ახალი ჩარხის ძირითადი დეტალების გამოსადეგობის ვადა მნიშვნელოვნად გაზრდილია, იგი მოხერხებულია ექსპლოატაციაში. ასეთი ჩარხი დღეს აუცილებელია ყველაზე ზუსტი ხელსაწყოების და განსაკუთრებით სპეციალიზებული მანქანების შექმნის დროს.

სახეხი ჩარხების ქარხნის პროდუქცია სულ უფრო პოპულარული ხდება. განსაკუთრებით წარმატებით სარგებლობს ხუთწლედის წლებში შექმნილი ჩარხები. მაგალითად, აქ დამზადებულმა „ზა-110“ ჩარხმა მრავალი შემკვეთის ქება დაიმსახურა. **ასეთივე ქებით იხსენიებენ მას საზღვარგარეთელი მყიდველები.** როცა მსჯელობდნენ, თუ რომელი ქართული ჩარხი გაეგზავნათ **ალჟირის საერთაშორისო ბაზრობაზე,** არჩევანი „ზა-110“ ჩარხს ხვდა.

საქართველო ახლა აწარმოებს ათობით დასახელების ჩარხებს. მათი დახმარებით შეიძლება როგორც მინიატურული, ისე მსხვილი დეტალების დამუშავება. ისინი აკმაყოფილებენ სიზუსტის ყველაზე მაღალ მოთხოვნებს.

წელს გამოშვებული სპეციალური ჩარხების თვითღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდება. ეს ძირითადად მიღწეული იქნება დეტალების ფართო უნიფიკაციის გზით.

კურორტი სიმონეთი

ჭუთაისიდან თბილისისაკენ მომავალ საავტომობილო გზაზე, იქ, სადაც სოფელი სიმონეთი იწყება, ამ დღეებში გაჩნდა წარწერა: **კურორტი სიმონეთი...**

როგორც კურორტის დირექტორმა ბ. ქართველიშვილმა ჩვენს კორესპონდენტს უამბო 1962 წელს ჰიდროგეოლოგებმა სოფელ სიმონეთში მიწის ბურღვის დროს თბილი წყალი შეამჩნიეს. 600 მეტრის სიღრმიდან ბურღის ამოღების შემდეგ ამოხეთქა წყალმა, რომლის ტემპერატურა 42 გრადუსს აღწევს. სათანადო შემოწმების შემდეგ დადასტურდა, რომ იგი წყალტუბოს წყლის ტიპისაა. აქაურმა კოლმეურნეებმა არ დააყოვნეს და იწყეს მისი ექსპლოატაცია. გაჩნდა რამდენიმე საწოლიანი ბარაკი და ოთხი აბაზანა. 1966 წელს იქვე მახლობლად კიდევ მეორე წყარო აღმოაჩინეს.

ამჟამად ექსპლოატაციაშია მხოლოდ პირველი წყარო. მისი სამკურნალო წყალი გაცილებით ეფექტიანია წყალტუბოსთან შედარებით. იგი კარგად მოქმედებს სახსრების ქრონიკული ანთების დროს, უხდება კუნთების ნერვულ ტკივილებს, ასევე კარგად მოქმედებს ათეროსკლეროზზე, რადიკულიტზე, საყრდენი აპარატის დაავადებებზე, სახსრების ტრავმულ დაზიანებაზე.

ახლა კურორტს აქვს 34-საწოლიანი კოტეჯი, ორი სააბაზანო, რომლებიც ერთდროულად 55 კაცს ატარებს. აიგო სასადილო.

მიმდინარეობს კურორტის დაპროექტება.

„საბჭოთა საქართველოს“ მარკით

კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ახალი ქსოვილები — „ნონა“, „ივერია“, „გელათი“ და „მდელო“ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის ასორტიმენტისა და ტანსაცმლის კულტურის ინსტიტუტის სამხატვრო საბჭომ ცნო საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეზე. ამ საპალტო ქსოვილების ნიმუშები გაიგზავნა იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე. „მდელო“ — სინთეზური ბოჭკოს შალნარევი იაფი ქსოვილი, პირველია ამიერკავკასიის საფეიქრო საწარმოების ქსოვილებს შორის, რომელიც წარდგენილია ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად.

საჰაერო გზების ქალაქი

ჰიათურა. მსოფლიოს არც ერთ ქალაქში ერთდროულად არ მუშაობს იმდენი და სხვადასხვა სისტემის საბაგირო გზა, რამდენიც ჰიათურაში. ამჟამად აქ 60-ზე მეტი საჰაერო საბაგირო გზა მუშაობს. ყოველწლიურად ჰიათურაში 5-6 ასეთი გზა შენდება.

ჰიათურის საჰაერო საბაგირო გზებს ყოველდღიურად 45 ათას ტონამდე ტვირთი გადააქვთ.

ხუთწლედის ბოლოსათვის ჰიათურაში 13 საბაგირო სამგზავრო გზა აშენდება.

მსოფლიოს 39 ქვეყანაში

სულ უფრო ფართოვდება ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ექსპორტი. ამჟამად ქარხანა თავის პროდუქციას გზავნის მსოფლიოს 39 ქვეყანაში.

მიმდინარე წელს ქარხნის კოლექტივი ავტომანქანის სათადარიგო ნაწილებს უგზავნის ვიეტნამს, კორეას, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, ეგვიპტეს, ავღანეთს, ირანს, აფრიკის ქვეყნებს, ინდოეთს და სხვ.

ქართველ მეცნიერთა ლაბორატორიებში

15 საპრობლემო

შეტევა დიაბეტზე

თვითეული ლაბორატორია, რომლებზეც საუბარი გვექნება, მხოლოდ ერთ პრობლემას ამუშავებს. ეს ლაბორატორიები შექმნილია უმაღლეს სასწავლებელთა კათედრებთან.

15 საპრობლემო ლაბორატორიის შექმნით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მეცნიერული მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში. მათი თანამშრომლები გახდავისუფლებული არიან სამასწავლებლო მუშაობისაგან. ლაბორატორიებმა არა მარტო აანაზღაურეს მათ ორგანიზაციაზე გაწეული ხარჯები, არამედ დიდი ეკონომიური ეფექტიც მოიტანეს. ლაბორატორიებში შესრულებულ სამუშაოთა მეტი ნაწილი დაინერგა სახალხო მეურნეობაში და წარმოების მუშაკთა მაღალი შეფასება მიიღო.

საინტერესო კვლევა მიმდინარეობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საპრობლემო ლაბორატორიებში.

როგორია საქართველოს მიწისქვეშა წყლების წარმოქმნის, ფორმირებისა და ქიმიური შედგენილობის განსწილების კანონზომიერებანი? როგორ მიმდინარეობს საინჟინრო-გეოლოგიური პროცესები რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამ საკითხებს იკვლევენ ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიური პრობლემების ლაბორატორიის თანამშრომლები, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ი. ბუაჩიძე.** გამოკვლევების შედეგებს იყენებენ ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პროგნოზირების დროს. მეცნიერებმა შეისწავლეს შავი ზღვის სანაპირო ზოლი და წყალქვეშა კალთები, ნაპირის ზაზის დინამიკა და სხვ.

რამდენიმე მილიონ ლიტრს აღწევს დღეღამეში ბორჯომის წყლის დებიტი. და ამაში ცოტა როდია ლაბორატორიის თანამშრომლთა დამსახურება, რომლებმაც აღმოაჩინეს მინერალური წყლის ახალი შესანიშნავი წყაროები.

დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ფეროშენადნობთა მისაღებად დაბალი ხარისხის მანგანუმის მადნების გამოყენების პრობლემას. ამაზე მუშაობენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წარმოების მუშაკებთან ერთად მადნის ნედლეულის მომზადებისა და გადამუშავების ლაბორატორიის თანამშრომლები.

ქიმიური მრეწველობის განვითარების განუწყვეტლივ მზარდი ტემპი მოითხოვს მინარევებისაგან ხალსი მასალების მიღებას. ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა ხალს ნივთიერებათა ანალიზის ახალი მეთოდების დამუშავება. ამ მხრივ ცოტა წარმატება როდი მოიპოვეს ზეხალასი მანგანუმის მიღების საპრობლემო ლაბორატორიაში, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **რ. აგლაძე.**

დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ ძიებას, რომელიც წარმოების ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, რადიოქიმიური გამოკვლევების საპრობლემო ლაბორატორიებში, ჩაის წარმოების ნაკადური ხაზის მანქანების კონსტრუირების დარგში.

მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამოკვლევები შესრულდა თბილისის უნივერსიტეტის მათემატიკის, ნახევარგამტარების ფიზიკისა და კიბერნეტიკის საპრობლემო ლაბორატორიებში. მაგალითად, კიბერნეტიკის დარგის სპეციალისტები ამუშავებენ მეხსიერების გადაცემის, შემონახვის, გარდაქმნისა და რაციონალური კოდირების პრობლემას.

ცენტრალური ნერვული სისტემის რეგენერაციისა და პერიფერიული სისხლის მიმოქცევის ზოგიერთი საკითხისადმი მიძღვნილი სამუშაოები წარმოებს თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საპრობლემო მორფო-ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში. აქ მიღებულია ახალი უარრესად საინტერესო მონაცემები ცენტრალური ნერვული სისტემის რეგენერაციულ (აღდგენით) შესაძლებლობათა შესახებ, რომლებიც ხსნიან ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქში აღდგენითი პროცესების მექანიზმებს. ლაბორატორიის თანამშრომლები კვლევას აწარმოებენ პურკინეს სახელობის უნივერსიტეტის (ჩეხოსლოვაკია) სამედიცინო ფაკულტეტის მეცნიერებთან ერთად.

შაქრის ავადმყოფობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა, რომლითაც დასნეულებულია დედამიწის მოსახლეობის თითქმის ორი პროცენტი. დიაბეტი სამედიცინო საზოგადოებრიობის დიდ ყურადღებას იპყრობს. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სპეციალური საზოგადოებები ინტენსიურად სწავლობენ ავადმყოფობის წარმოშობის მიზეზებსა და პროფილაქტიკას. დიაბეტის წარმოშობაში ბევრ რამ ჯერ კიდევ გაურკვეველია. ზოგიერთ სპეციალისტს მიაჩნია, რომ შაქრის ავადმყოფობა შეიძლება მემკვიდრეობით მიიღო მშობლებისაგან, სხვები საწინააღმდეგო თვალსაზრისს ადგანან.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ბივი სარალიძისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის კობა პატარაიას ნაყოფიერმა თანამშრომლობამ გამოავლინა დღემდე უცნობი ფორმების დიაბეტი.

ქართველმა მეცნიერებმა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს დიაბეტის გამოცანის ამოხსნაში, რაც ცვლის არსებულ წარმოდგენას ამ დაავადების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და მექანიზმების შესახებ. მათ დიდი კლინიკური მასალით დაადგინეს, რომ დიაბეტით დაავადებულებს გლუკოზასთან ერთად აღმოაჩნდათ სხვა შაქრებიც. ეს გალაკტოზა, მალტოზა, ლაქტოზა და პენტოზაა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მათგანის არსებობა განსაზღვრავს არა მარტო დიაბეტის სახეობას, არამედ მისი ბიოქიმიური მექანიზმის თავისებურებასაც, რომელიც მოითხოვს ინდივიდუალური მკურნალობისა და პროფილაქტიკის გამოყენებას. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სამკურნალო დაწესებულებებში შემოღებული ანალიზები უნდა კეთდებოდეს არა მარტო გლუკოზის საერთო შემცველობის გამოსაკვლევად, როგორც ჩვეულებრივ ხდება, არამედ აგრეთვე ცალკეულ სახეობათა შაქრების გამოსარკვევად. გარდა ამისა ანალიზი უნდა გაკეთდეს დილის და არა დღე-ღამის სინჯებით. დღე-ღამის სინჯებში ცალკეული შაქრები იცვლება და შეიძლება დაავადების ხასიათის სწორი სურათი არ მოგვცეს.

ქართველ მეცნიერთა მიერ აღმოჩენილი დიაბეტის სახეობანი გამოწვეულია გარკვეული ფერმენტული სისტემებით (ქიმიური რეაქტივების ბიოლოგიური დამჩარებლების) მუშაობის დარღვევით, რომლებიც მართავენ ამა თუ იმ შაქრის გადაქცევას გლუკოზად — ორგანიზმის ცხოველუხარისობისათვის საჭირო ამ ძირითად სათბობად. ამიტომ ინსულინი და სხვა საშუალებები, რომლებსაც მკურნალობისათვის იყენებენ, შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს. ამავე დროს ისეთ ნივთიერებათა გამოყენებამ, როგორიცაა, მაგალითად, ადენოზინტრიფოსფორმჟავა, შეიძლება დადებითი შედეგები მოგვცეს. ეს იმით აიხსნება, რომ ხსენებული მჟავა ზრდის ორგანიზმის უჯრედების უნარს აითვისოს შაქრები და ხელს უწყობს ენერგიის გამოყოფას ცხოველმოქმედებისათვის.

როგორც მეცნიერებმა გამოარკვიეს, ფრუქტოზა ერთადერთი სახეობის შაქარია, რომელსაც ორგანიზმი დიაბეტის დროს ითვისებს ბევრად უფრო ადვილად, ვიდრე გლუკოზას. ავადმყოფს შეუძლია მისი მიღება შაქრის შემშილობის დროსაც კი. უკვე შემუშავებულია ამ სახეობის შაქრით მდიდარი მიწავაშლიდან და ციკორიდან ფრუქტოზის შემცველ ნივთიერებათა მიღების მეთოდები.

სხვადასხვა ორგანიზმის უჯრედებში წყალბადის ცვლის გამოკვლევამ მეცნიერებს უკანასკნელ საინტერესო თვალსაზრისი დიაბეტის წარმოშობაზე. შაქრის ავადმყოფობა, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, ძირითადად მემკვიდრეობითი ავადმყოფობაა. თავდაპირველად იგი წარმოიშობა უჯრედებში და დაკავშირებულია მასში განსაკუთრებული წარმონაქმნების — ეგრეთწოდებული მიტოქონდრიების მუშაობის დარღვევასთან. ეს უჯრედის თავისებური ბიოქიმიური საამქროა. აქ ხორციელდება სიცოცხლისათვის დიდმნიშვნელოვან ნივთიერებათა გარდაქმნა. კერძოდ, მიტოქონდრიები, როგორც ფერმენტებს ქმნიან, საჭიროა ორგანიზმისათვის შაქრების ასათვისებლად.

ამ „საამქროს“ მუშაობაში წარმოშობილი დარღვევები შეიძლება გადაეცეს მემკვიდრეობით და იყოს დიაბეტის მიზეზი. შაქრების ათვისების პროცესები იწყება უწინარეს ყოვლისა საჭმლის მომნელებელ ტრაქტში, სადაც ხდება ორგანიზმში საჭმელთან ერთად თითქმის ყველა ნივთიერების გახლეჩა. ისინი შეიწოვება ძირითადად წვრილ ნაწლავებში და გადადიან სისხლის კალაპოტში. ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს, რომ დიაბეტის დროს ძირითადი დარღვევები მიმდინარეობს უმთავრესად ნაწლავის კედლებში ფერმენტებისა და კვების მომნელებელი წვენების მცირე აქტივობის ხარჯზე, რაც დაკავშირებულია მიტოქონდრიების მოქმედებასთან.

ექსპერიმენტით აღმოჩენილმა ახალმა ცნობებმა დიაბეტის შესახებ გამოიწვია შაქრის ავადმყოფობის ანალიზისა და მკურნალობის ორიგინალური მეთოდების შემუშავება. ახლა გრძელდება გზების ძებნა, რომლებიც ახსნიან დიაბეტის ინტიმურ მექანიზმებს. პირველი ცდები მედიცინის ამ დიდმნიშვნელოვან და აქტუალურ დარგში დამაიმედებელია.

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები

საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური ბაბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ განიხილა საქართველოში ტურიზმის განვითარების 1971-1975 წლების გეგმის წინასწარი მონახაზები.

თუ ახლა საქართველოს პროფკავშირთა ტურისტულ ბაზებს აქვთ 7.590 ადგილი, 1975 წლის დამლევისათვის ექნებათ თითქმის 21 ათასი ადგილი. ახალი ტურისტული ობიექტების ასაგებად 1971-1975 წლებში გათვალისწინებულია დაიხარჯოს 42,5 მილიონი მანეთი. ახალი დიდი ტურისტული სასტუმროები და ბაზები გაიხსნება თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ჭობულეთში, ცხინვალში, ფოთში, ბორჯომში, ბაკურიანში, ლაგოდეხში, ჩაქვში, ახმეტაში, ახალციხეში, ზეკერში, ლენტეხში, ავადხარაში, ხარისთვალაში, გორში, თიანეთში, გუდაუთაში და სხვ.

დამთავრდება გაგრა-მზიურის საკურორტო-ტურისტული კომპლექსის მშენებლობა. მაღალი მთის კურორტი მზიური მდებარეობს ზღვის დონიდან 1.600 მეტრ სიმაღლეზე. აქ აშენდება ტურისტული სასტუმრო 500 კაცისათვის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები.

აშენდება სპეციალიზებული ტურისტული ბაზები: ფოთში — დედისა და ბავშვებისათვის, ონჯაშირეში, ბორჯომსა და გურჯაანში — ავტოტურისტებისათვის, წითელი ხიდის რაიონში — ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის საზღვრების შესაყარზე — შენდება ტურისტული ბანაკი „მეგობრობა“.

გეგმა ითვალისწინებს სამგზავრო საჰაერო სამგზავრო გზების ქსელის ფართოდ განვითარებას. უაზებეგი-წმინდა სამების მონასტრის გზის პირველი რიგი დამთავრდება 1969 წელს, ტრასის გაგრძელება მეტეოროლოგიურ სადგურამდე — 1975 წლისათვის. სამგზავრო გზები დაკავშირებს სოხუმის პლაჟს სოხუმის პლატოსთან, თელავის ტურისტულ ბაზას — ცივის მთასთან, ბაკურიანს — სოფელ დიდ მიტარბთან.

ცხინვალში, ლესელიძესა და გორში იქმნება საექსკურსიო ბიუროები. ტურისტული კლუბები გაიხსნება რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში. ადგენენ ათობით ახალ საექსკურსიო მარშრუტს მშობლიური მხარეში მოგზაურობის მოყვარულთათვის.

სხდომის მონაწილეებმა შეიტანეს ბევრი ძვირფასი წინადადება რესპუბლიკაში მასობრივი ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

საქართველოს ეთნოგრაფია

სამოცი წლის წინათ დაარსდა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საზოგადოება. ჩვენი კორესპონდენტი ეწვია ამ საზოგადოების თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ გიორგი ჩიტაიას და სთხოვა „სამშობლოს ხმის“ მკითხველებისათვის მოეთხრო საზოგადოების მუშაობაზე.

საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოება თავის რიგებში ითვლის 5.200-ზე მეტ წევრსა და 100-მდე სამეცნიერო და კულტურულ ორგანიზაციას. მისი დაარსების პირველ წლებში საზოგადოება მხოლოდ ძველ ხელნაწერებს აგროვებდა. შემდეგ კი დავიწყეთ რესპუბლიკის ეთნოგრაფიული ფასეულობების, ისტორიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის შესწავლა. შემუშავდა ახალი წესდებაც.

სწავლულმა-ეკონოგრაფებმა, მაგალითად, დაადგინეს, რომ ხევსურები მოსული და შემდეგ ჩამოყალიბებული ტომი კი არ არის, არამედ იბერების ერთ-ერთი უძველესი ტომთაგანია. სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ბუ-შარის ტომის საცხოვრებელი ადგილი; ეს ტომი იქ VII-X საუკუნეებში ბინადრობდა. აჭარაში აღმოჩნდა აქამდე უცნობი ქართული ტომის „ზირკას“ ადგილსამყოფელი.

ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში მიწათმოქმედებისა და სახნავი იარაღების შესწავლის მხრივაც. ქართველი მეცნიერების მიერ დამუშავებული მასალები საერთო ეთნოგრაფიის სასწავლო სახელმძღვანელოში შევიდა. გახსნილია ძველი მევენახეობის, მეღვინეობის, მეხილეობის, აგრეთვე მცენარეული ზეთის ხელოვნური წარმოების ბევრი საიდუმლო.

ბეჯითი კვლევის საგანი იყო ძველი მატერიალური კულტურა: საჭმელი, საცხოვრებელი ბინები, დასახლებანი, ტანსაცმელი, ტრანსპორტი და ხალხური ხელოსნობის სხვადასხვა დარგები. ეთნოგრაფებმა გაიგეს ხის დამუშავების, ქვისა და ძვლის ჩუქურთმების, ტყავის, თიხისა და ბროლის ნაწარმის, აგრეთვე ლითონის ხალხური დნობის მეთოდების საიდუმლო, რაც საშუალებას გვაძლევს ამოვხსნათ ძველი ქართული მეტალურგების ტექნოლოგიური საიდუმლოებანი. გამოკვლეულია საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიული რაიონების მითოლოგია, სპორტი, მუსიკალური ფოლკლორი, სახალხო მედიცინა.

მთელი რიგი შრომები ქართველმა ეთნოგრაფებმა მიუძღვნეს საერთო ეთნოგრაფიის, კერძოდ, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის საკითხებს. ამ გამოკვლევებმა დიდად შეუწყო ხელი კავკასიის მეცნიერთა შემოქმედებითს დამეგობრებას.

მაგრამ ჩვენ მარტო ძველ მიწათმოქმედებას როდი ვსწავლობთ. ჩვენი კვლევის საგანი იყო და არის უკანასკნელი ათწლეულების საქართველოს სამიწათმოქმედო ყოფა, მთის თანამედროვე მიწათმოქმედება. სატერასო მეურნეობა, მეცხოველეობა, მებაღეობა, მევენახეობა. ამ გამოკვლევების ზოგიერთ მონაცემებს წარმატებით იყენებენ კოლმეურნეები.

მუშავდება საბჭოთა ეთნოგრაფიის მთავარი პრობლემები — თანამედროვე ქალაქისა და სოფლის კულტურისა და ყოფაცხოვრების შეცვლის პროცესისა და საზოგადოებრივი და პირადი ქცევის ახალი ფორმების შესწავლის საკითხები. ჩვენ შევისწავლეთ ჭიათურის, ტყიბულის მეშახტეთა, ქუთაისის საავტომობილო, თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნების, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა მუშების ყოფაცხოვრება. სპეციალური მონოგრაფიები მიეძღვნა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელთა ახალ ყოფას.

ჩვენი მეცნიერი თანამშრომლები ადგენენ კავკასიის ეთნოგრაფიულ ატლასს, სწავლობენ სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში ხალხის კულტურისა და ყოფაცხოვრების განსაკუთრებულ მხარეებს. აღნიშვნის ღირსია შრომა „კავკასიის ეთნოგრაფიის ამოცანები“, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. დიდი საქმე გაკეთდა ყოვლისმომცველი ორტომეული ნაშრომის — „კავკასიის ხალხების“ გამოცემით.

გაიზარდა ჩვენი სამუზეუმო ფონდებიც. ისინი გაამდიდრეს მრავალრიცხოვანმა ექსპედიციებმა, აგრეთვე იმ კოლექციებმა, რომლებიც აბისინიიდან, ირანიდან, ინდოეთიდან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან მოდის. რესპუბლიკის მეცნიერებისათვის ნამდვილად დიდი მნიშვნელობის საქმე გაკეთდა იმით, რომ თბილისში დაარსდა ეთნოგრაფიული მუზეუმი.

გათუმის აკვარიუმის ახალი ბინადარნი

ამას წინათ სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი სადგურის ბათუმის აკვარიუმში შორეული აღმოსავლეთიდან ჩამოიყვანეს 20 სახეობის უხერხემლონი. მათ შორის არიან ზღვის ვარსკვლავები, სავარცხლები, ტრეპანგები, აქტინიები და სხვ.

წუნარი ოკეანის ბინადარნი კარანტინს გადიან ოკეანის წყლით სავსე სპეციალურ ნაკეთურებში.

ორი წლის წინათ გახსნილი ბათუმის აკვარიუმის ილუმინატორების სქელი მინების იქით, ფართოდაა წარმოდგენილი წუალქვეშა სამყაროს ცხოვრება.

მნახველი ინტერესით ადევნებს თვალს იმას, თუ როგორ მოძრაობს ნელა ინდოეთის ოკეანის ბინადარი — ასკილოგრამიანი კუ. მხარულ გუნებად დაჰჭრიან ვერცხლისფერი შამაიები, გაბღენძილი სხედან მარჯნის კუნძულებზე ზღვის ცხენები, სპექტრის ყველა ფერით ელვარებს კალმახი, მნახველთა თვალწინ იცვლის ფერს კამბალა. ზღვის მამლები ხან ფართოდ შლიან, ხან კი კეცავენ წუალქვეშა ფრთებს. მოშინაურდნენ ვეებერთელა ზღვის ლომები, რომლებიც ადვილად ხტებიან ერთი აუზიდან მეორეში.

ოჯახის ბედნიერება



ბედნიერი მშობლები — ნამდვილად ასე ითქმის ხოგის რაიონის სოფელ საჯიჯაოში მცხოვრებ ლოლა და რამინ ზარანდიებზე. 17 შვილი ჰეშმარიტად რომ არის ბედნიერება.

ᲕᲘᲪ ᲠᲐ ᲗᲥᲕᲐ

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲖᲔ

ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘᲐ საცოდავ გლახაკად იცხოვრო შენს სამშობლოში, ვიდრე იმეფო სხვის ქვეყანაში.

ᲜᲘᲖᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲯᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ სამშობლოს ჩაეკონე მთელი არსებით, მასშია უმძლავრესი ფესვები შენი ძალ-ღონის.

ᲤᲠ. ᲨᲘᲚᲔᲠᲘ.

ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ბევრი ისეთი რამ, რაც თვალსა და გულს ახარებს, მაგრამ არასოდეს არ მინახავს ისეთი რამ, რასაც სამშობლოს შეცვლა შეძლებოდეს.

ᲤᲠ. ᲒᲝᲓᲔᲜᲨᲢᲔᲓᲢᲘ.

ᲣᲪᲮᲝᲠᲒᲐᲨᲘ რაა სიამე,
სადაცა ვერ ვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲠ ᲒᲐᲕᲪᲕᲚᲘ სალსა კლდეებსა უკვდავებისა ზეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.
სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორთავ თვალზედა.

• • •

ᲡᲐᲓᲐᲪ ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, — ჩემი სამშობლო ის არი.

ᲠᲐᲤᲘᲔᲚ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ.

ᲪᲐ-ᲤᲘᲠᲣᲖ, ხმელეთ-ზურმუხტო, სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მგლოვიარეო...
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო
და რომ მოვკვდები, გახსოვდეს, ანდერძი დავიბარეო;
დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ: შენს კალთას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

ᲐᲠᲐ ᲐᲫᲕᲡ სითბო მზეს უცხო მხარეში.

ᲢᲐᲠᲐᲡ ᲨᲔᲕᲔᲩᲔᲜᲙᲝ.

რად მინდა მზე ცხოველი და ცა ნათელი
და ან მბრწყინავი ყვავილებით ზურმუხტი ველი?
ნიავი ზღვისა გულს მომფენს მე რა ფუფუნებას,
მოშორებული თუ ვიქნები ჩემს წყალს, ჩემს მიწას,
თუ ველარ ვხედავ ჩემ საყვარელთ, ჩემ მყინვარე მთებს?

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲛᲔ ᲞᲐᲢᲑᲐᲠᲐ ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი.

ᲓᲣᲢᲣ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ განშორებული ტირის შვიდ წელს, სამშობლოს განშორებული — მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

ᲣᲨᲐᲒᲔᲙᲣᲠᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲐ.

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ მხარე ღვიძლი დედაა, სხვისი ქვეყანა — დედინაცვალი.

ᲗᲐᲗᲠᲣᲚᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲐ.

ᲗᲣ ᲛᲝᲙᲒᲘᲫᲓᲐ სამშობლოს განშორება, შენს ხალხს მაინც ნუ განშორდები.

ᲣᲨᲐᲒᲔᲙᲣᲠᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲐ.

ᲙᲐᲪᲘ არ ვარგა სოფელში უმამულო და ეული.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲐ.

ᲘᲫᲜᲔᲑ არსებობს ადგილი უფრო მეტად იშვიათი და საუცხოო, მაგრამ მე ჩემს სამშობლოს არ გავუცვლი არვის.

Ვ. ᲜᲔᲖᲕᲐᲚᲘ,
ჩეხი პოეტი, საერთაშორისო პრემიის ლაურეატი.

ნასტამბარის ობელისკი



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ მდიდარია ისტორიული ადგილებით, რომლებიც ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლებსა და ერის ძველ კულტურაზე მოგვითხრობენ.

დაახლოებით 150 წლის წინათ გენერალმაიორმა ზურაბ წერეთელმა და მისმა ვაჟმა გრიგოლმა საჩხერეში გადმოიტანეს იმერეთის მეფე სოლომონ II სტამბა. ამ პერიოდში (1815-1822 წლები) აქ იბეჭდებოდა — „სახარება“, „სამოციქულო“ და სხვა წიგნები.

ახლახან საქართველოს ისტორიული ადგილების ამსახველ ძეგლთა რიცხვს კიდევ ერთი შეემატა. საჩხერეში, „მოდინახეს“ მთის ძირას, რომელსაც ხალხი „ნასტამბარს“ უწოდებდა, სტამბის არსებობის 150 წლის აღსანიშნავად ობელისკი აღმართეს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: „ნასტამბარის“ ობელისკი საჩხერეში.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲒᲘ

ᲓᲘᲓᲘ კავკასიონის მთები საქართველოს მდინარეთა უმრავლესობის წყლით მომარაგების ერთ-ერთი ბუნებრივი წყაროა. მის მწვერვალებსა და კალთებზე მოსული ნალექები ნაწილობრივ აქ რჩება სქელი ყინულისა და თოვლის სახით და ქმნის მაცოცხლებელი ტენის თავისებურ საცავს. მარტო ის წყალი, რომელიც წლის მანძილზე მოაქვთ დიდი კავკასიონის მთების მაღალი მთის ნაწილს მდინარეებს, საკმაოდ საკმარისია იმისათვის, რომ ეს ზონა დაფაროს ოთხი მეტრი სიმაღლის წყლით. უფრო მეტი ნალექი მოდის მთებში წვიმებისა და თოვლის სახით — 142 მილიონი კუბური მეტრი. **ეს გაანგარიშება ეკუთვნის ქართველ ჰიდროლოგებს,** რომლებიც მუშაობენ დიდი კავკასიონის ქედის წყლის ბალანსის პრობლემაზე.

წყლის ბალანსის საკითხებს დიდი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. როცა ვიცით ტენის ზუსტი მარაგი და შესაძლო ცვლილებები, შეიძლება ხანგრძლივი პერიოდისათვის უფრო რაციონალურად დავგეგმოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარება.

მთის ტერიტორიების წყლის ბალანსის შედგენა დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან. ეს აიხსნება იმით, რომ საკმაოდ არ არის შესწავლილი მაღალი მთის ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფმა შეიმუშავა მაღალი მთის ადგილის წყლის ბალანსის გამოკვლევის მეთოდიკა.

ამ მეთოდიკის საფუძველზე შედგენილია დიდი კავკასიონის ქედის ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების, ჩამოდინების, აორთქლების და მიწისქვეშა ჩადინების რუკები. მაგალითად, ატმოსფერული ნალექების რუკა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს მათი ოდენობის დიდ მერყეობას. აღმოჩნდა, რომ კავკასიონის ქედის დასავლეთი ნაწილის ზედა ზონებში ჩადინება აღწევს 4 ათას მილიმეტრს წელიწადში, ხოლო აღმოსავლეთ, ყველაზე გვალვიან ნაწილში — სულ 30 მილიმეტრს.

საინტერესოა მიწისქვეშა ჩადინების რუკაც. გამოირკვა, რომ მთელი რიგი მდინარეები, რომლებიც ერთვიან შავ ზღვას და სათავეს იღებენ დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, თუმცა გამორჩევიან წყლის სიუხვით, მაგრამ ზედა წელში წყლის ნაკლებობას განიცდიან. გამორკვეულია, რომ წყალი აქ ინთქმება კარსტული წარმონაქმნებით, მიდის მიწის ქვეშ. წყალი გადის მნიშვნელოვან მანძილს მიწისქვეშა „გალერეებით“ და კვლავ ამოდის ზედაპირზე დიდი წყაროების სახით. ასეთი მდინარეებია ხიფსტა, რეჩხი, ჩაჩხურა და სხვ.

მიწისქვეშა ჩადინება დიდი კავკასიონის მთის ბალანსის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. როგორც გაანგარიშებამ გვიჩვენა, იგი უდრის 22 მილიონ კუბურ მეტრს წელიწადში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა გამოკვლევებმა შესაძლებელი გახადა შედგენილიყო დიდი კავკასიონის სარწმუნო, დიდი სიზუსტის წყლის ბალანსი. იგი დეტალურად არის დამუშავებული, როგორც დიდი მდინარეების აუზებისათვის, ისე ცალკეული მთიანი ოლქებისათვის.

Კ. ᲪᲮᲝᲛᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲭᲣᲥᲠᲐᲓ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ

ᲑᲐᲨᲣᲠᲘᲡ № 4 რკინიგზის სკოლის მოსწავლეები კარგი საქმეებით გამოხატავენ სოლიდარობას შებრძოლე ვიეტნამელი ხალხისადმი. ნორჩი ბაშურელები ცდილობენ რითაც კი შეუძლიათ მეგობრული დახმარება გაუწიონ ვიეტნამელ ბავშვებს.

სკოლის დრამატულმა კოლექტივმა რკინიგზელთა კულტურის სახლის სცენაზე უჩვენა სპექტაკლი „თეთრა“. ამ სპექტაკლის მთელი შემოსავალი გადაირიცხა ვიეტნამელი ბავშვების დახმარების ფონდში.

სასწავლო წლის განმავლობაში ნორჩმა ბაშურელებმა შეაგროვეს და სახელმწიფოს გადასცეს დახლოებით ასი ტონა ლითონის ჯართი. მიღებული ფულით მათ შეიძინეს ჩანთები, რვეულები და მოსწავლის სხვა ნივთები, რომლებიც საჩუქრად გაეგზავნა ვიეტნამელ ბავშვებს.



მე წყაროა ვარ...

პარგი საჩუქარი მიიღეს მგზავრებმა, რომლებიც რაიონულ ცენტრს ყვარელს ესტუმრებიან. შორი გზით დაღლილ, მწყურვალე ადამიანებს აქ შეუძლიათ კარგად დაისვენონ, დალიონ წყაროს ცივი წყალი.

ეს შესანიშნავი წყარო ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ძალებით და ინიციატივით არის გამოყვანილი.

წყაროს უკან გაშენებულია თვალწარმტაცი, ჩრდილოვანი პარკი.

წყარო და პარკი სიხარულს ანიჭებენ არა მარტო მგზავრებს, ეს მიდამო დასვენების საყვარელ ადგილად იქცა ყვარლის და ახლომდებარე სოფლების მცხოვრებთათვისაც.

სურათზე: ახალი წყარო ყვარელში.

მეგობრული კონტაქტები

წერილები ჩეხოსლოვაკიიდან

საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში ხშირად მოდის წერილები ჩეხოსლოვაკიიდან, მათ იღებს დოცენტი **ბ. ფიცხელაური,** ერთ-ერთი ავტორი სახელმძღვანელოსი „სასოფლო-სამეურნეო ცხოველების პათოლოგიური ფიზიოლოგია“, რომელიც ბრნოში გამოდის.

თბილისისა და ბრნოს ინსტიტუტების პათოლოგიური ფიზიოლოგიის კათედრების კონტაქტი რამდენიმე წლის წინათ დამყარდა. ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერები დაინტერესდნენ ქართველი კოლეგების ნაშრომებით სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ორგანიზმში მინერალური ცვლის შესახებ, ჟურნალ „ვეტერინარულ მედიცინაში“ დაბეჭდილი იყო ბ. ფიცხელაურის სტატია პროდუქტიული ძროხების წყალ-მარილის ცვლის შესახებ ტოქსემიის დროს, რამაც ჩეხოსლოვაკიის მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო, თბილისელი პათოფიზიოლოგი მიიწვიეს ვეტერინარიის საკითხთა კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება მომდინარე წლის ოქტომბერში. ამავე დროს ბრნოში იგი წაიკითხავს ლექციების ციკლს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის.

ჩეხოსლოვაკიაში იცნობენ ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის სხვა მეცნიერსაც. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **დ. ვარდოსანიძემ** აგრეთვე გამოაქვეყნა სტატია ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ სპეციალურ ჟურნალში.

ვეტერინართა XVIII მსოფლიო კონგრესზე შარშან ზაფხულში საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა ინსტიტუტის ქირურგიის კათედრის გამგე დოცენტი ნ. სტეპანოვი. მან 49 ქვეყნის მეცნიერთა წინაშე წაიკითხა მოხსენება, რომელშიც განაზოგადა მრავალი წლის დაკვირვება ცხვრებზე, რომლებსაც ამოკვეთილი ჰქონდათ ფარისებრი ჯირკვლები. აღმოჩნდა, რომ 75 დღეში ოპერირებულმა ცხვრებმა წონაში მოიმატეს 6 კილოგრამით მეტი, ვიდრე საკონტროლო ცხვრებმა. ამ ცხობამ მეცნიერ ვეტერანთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის ვეტერინარები დიდი წარმატებით იყენებდნენ დარიშხანმჟავა კალას წვრილფეხა რქიანი პირუტყვის ნაწლავების პარაზიტებთან საბრძოლველად. ეს პრეპარატი შეიმუშავეს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის მეცნიერებმა. ახლა მათ წარმოადგინეს ორი ახალი უფრო იაფი პრეპარატი ცხვრისა და თხის ჭიით დაავადების მკურნალობისათვის. მათზე მიღებულია განცხადებები მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან.

იუგოსლავიაში — გამოცდილებისათვის

„პოსტონა იამის“ გამოქვაბულების კეთილმოწყობისა და ექსპლოატაციის შესასწავლად იუგოსლავიაში გაემგზავრა „საქჭალაქმშენის“ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის არქიტექტორთა, კონსტრუქტორთა და ტექნიკოს მუშაკთა ჯგუფი.

ქართველ სპეციალისტთა შემადგენლობაშია ახალი ათონის გამოქვაბულების პროექტის მთავარი არქიტექტორი რ. რიჟინაშვილი.

ახალი ათონის გამჯვირვალე კალციტის გამოქვაბულები, — თქვა რ. რიჟინაშვილმა, — 1961 წელს აღმოაჩინეს ქართველმა სპელეოლოგებმა. ისინი გვაოცებენ ფერების შეხამებით, მრავალფეროვნებით, სტალაქტიტურ და სტალაგმიტურ წარმონაქმნთა გრანდიოზული ზომებით. ცხრა დარბაზიდან თითოეულს თავისი განუმეორებელი სახე აქვს.

ყველაზე დიდი და გრანდიოზულია „სპელეოლოგთა“ დარბაზი. იგი თითქოს ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი თიხისაა, კოლოსალური თასის ფორმის. მისი ზომები ისეთია, რომ აქ თავისუფლად მოთავსდებოდა დიდი სტადიონი. დარბაზის მეორე ნაწილი კრისტალურია. მისი ღირსშესანიშნაობაა ვებერთელა სტალაქტიტი, რომელიც მჭეფარე წყალვარდნილს ჰგავს. მაგრამ კომპლექსის ვერც ერთი გამოქვაბული ვერ სჯობნის „თბილისის“ დარბაზს. თეთრ-ცისფერი, იგი ზღაპრულად მშვენიერია.

პროექტით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული შენობის აგება ახალი ათონის ცენტრში. აქედან მიეწისქვეშა ელექტრომატარებლებით ექსკურსანტები მოხვლენ გამოქვაბულში. ახლა გაჩაღებულია გვირაბის მშენებლობა. „თბილგვირაბმშენის“ № 12 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანებმა უკვე გაიარეს დაახლოებით 6.000 მეტრი.

დარბაზებს დატოვებენ მათი ბუნებრივი სახით. აშენდება მხოლოდ პატარა ხიდები და დასათვალიერებელი მოედნები, გაიყვანენ ელექტროგანათებასა და რადიოს.

საბჭოთა კავშირში გამოქვაბულების კეთილმოწყობა პირველად ხდება და იუგოსლავიის „პოსტონა იამის“ გამოქვაბულების ექსპლოატაციის გამოცდილება დიდად დაეხმარება ჩვენს სპეციალისტებს.

ფრანგებმა მოიწონეს

ქალაქ ჩირპანში (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა) შენდება შამპანური ღვინოების ქარხანა. საწარმო აღიჭურვება უახლესი საბჭოთა ტექნიკით და იმუშავებს უწყვეტი შამპანიზაციის ტექნოლოგიით, რაც პირველად დაამუშავეს და გამოიყენეს საბჭოთა კავშირში. რუსეთის სფსრ სპეციალისტებთან ერთად მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებს „ორგკვებმრეწვის“ ტრესტის ამერკავკასიის გასაშენებ-გასაწყობი სამმართველოს საკონტროლო-საზომ ხელსაწყოთა განყოფილების უფროსი ინჟინერი **შოთა ჩხუბიანიშვილი.**

შ. ჩხუბიანიშვილი მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ საწარმოთა გაწყობასა და გაშვებაში. პირველი მისი დიდი ობიექტი იყო ნიკოფოროვკის შაქრის კომბინატი ვორონეჟის ოლქში, სადაც წარმოებდა იმპორტული მოწყობილობის დადგმა. აქ ახალგაზრდა სპეციალისტი წააწყდა რთულ პრობლემას: ზუსტად არ მოქმედებდა ერთ-ერთი დანადგარი. დიდი ძიების შემდეგ მან **შეიმუშავა ახალი სქემა, რომელიც მოიწონეს ფრანგმა შეფ-მონტაჟეებმა.**

პირველ რაციონალიზატორულ წინადადებას მოჰყვა მეორე, მესამე...

ჩირპანის შამპანური ღვინოების ქარხანა ბულგარეთის მეორე საწარმოა, რომლის მშენებლობაშიც მონაწილეობს შ. ჩხუბიანიშვილი. შარშან იგი მუშაობდა ქალაქ ლიასკოვეცის ასეთსავე ქარხანაში, სადაც შეიტანა წინადადება ტევადობებში წნევის ავტომატური შენაჩუნების სისტემის შეცვლის შესახებ. ამ სიახლის დანერგვამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ქარხანა ვადაზე ადრე დაამუშავდა. საბჭოთა კავშირის შემდეგ ბულგარეთი გადა მეორე ქვეყანა, სადაც გამოიყენეს განუწყვეტელი შამპანიზაციის უახლესი ტექნოლოგია.

რაფიელ დანიბეგაშვილის უცნობი მოგზაურობა

მეთვრამეტე საუკუნის დამლევის და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის შესანიშნავ ქართველ მოგზაურ **რაფიელ დანიბეგაშვილზე** დღემდე ცნობილი იყო, რომ მან მოაწყო მოგზაურობა ინდოეთში, თურქეთში, ირანში, ერაყში, ომანში, ცეილონში, ბირმაში, ავღანეთსა და დასავლეთ ჩინეთში. ამ ცოტა ხნის წინათ კი მეცნიერებმა შეიტყვეს მისი **მეოთხე მოგზაურობის** შესახებ.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში მოვიდა ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სწავლული მდივნის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის **ვ. პლოსკიხის** წერილი.

— არქივში ყირგიზეთის ისტორიის მასალებზე მუშაობის დროს, — წერს მეცნიერი, — აღმოვაჩინე დოკუმენტები აღმოსავლეთში რაფიელ დანიბეგოვის ადრე უცნობი მოგზაურობის შესახებ. ჩემს მიერ აღმოჩენილი საარქივო დოკუმენტები წარმოადგენენ რ. დანიბეგოვის ანგარიშის ჩანაწერს (მისი პირადი ხელმოწერით) ინდოეთში 1815-1820 წლებში წინათ უცნობი მოგზაურობის შესახებ.

ანგარიშში ლაპარაკია ინგლისის კოლონიზატორულ პოლიტიკაზე ინდოეთში, ვაჭრობის მდგომარეობაზე აზიაში, დანიბეგოვის მონაწილეობაზე რუსეთის ქვეშევრდომებად ყირგიზი და ყაზახი ტომების დაყოლიებაში. ისინი მოწმობენ, რომ რ. დანიბეგოვმა იმოგზაურა არათუ რუსეთის ხელისუფალთა დასტურით, არამედ მათი უშუალო მხარდაჭერით...

ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს პროფესორ **ლ. მარუაშვილს**, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სწავლობს ცნობილი მოგზაურის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, კომენტარი გაეკეთებინა ამ ცნობისათვის.

— **რაფიელ დანიბეგაშვილის ბიოგრაფიაში ჯერ კიდევ ბევრი თეთრი ლაქაა,** — თქვა მეცნიერმა, — ცნობილია, რომ პირველი ორი მოგზაურობა თვრამეტ წელს გრძელდებოდა. თბილისის მკვიდრი დანიბეგაშვილი ეკუთვნოდა ვაჭართა გვარს, რომელსაც საქონელი გაჰქონდა საქართველოდან ინდოეთში და იქიდან შემოჰქონდა საქართველოში. ამასთან ერთად ამ გვარის სულ ცოტა სამი თაობა ასრულებდა ქართველ მეფეთა, ხოლო უფრო გვიან რუსეთის მთავრობის დიპლომატიურ დავალებებს.

აზიაში ყოფნის დროს რაფიელი ეწეოდა ვაჭრობას, ხოლო ქალაქ დელში ერთ წელს კიდევაც ემსახურებოდა დიდი მოგოლების შთამომავლებს, როგორც გადასახადის ამკრეფი.

დანიბეგაშვილი მარტო ვაჭრობას როდი მისდევდა. იგი გულდასმით სწავლობდა უცნობი ხალხების ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს, მათ კულტურას, ქალაქების გეოგრაფიას, იმ ქვეყნების მეცნიერულ და ცხოველთა სამყაროს, სადაც იგი ყოფილა. მისი წიგნი პირველად გამოიცა მოსკოვში 1815 წელს.

„ქართველი აზნაურის რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში“ ჩემი ნარკვევითურთ მოსკოვში გამოუშვა გეოგრაფიულმა გამომცემლობამ 1961 წელს და მეორედ გამოიცა თბილისში ჩემი რედაქციით 1966 წელს. იგი შეიცავს ზუსტ დახასიათებებს და მახვილგონიერ დაკვირვებებს. მაგალითად, ავტორს უყურადღებოდ არ რჩება არა მარტო მოთხოვნა რუსულ საქონელზე ტიბეტში, არამედ კოლონიზატორთა სიხარბეც, რომლებმაც გადასახადი დააწესეს „ბეტელის ღეჭვაზე და განგის წმინდა წყლებში მცხოვრებთა ბანაობაზე“.

რაფიელ დანიბეგაშვილისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში აღნიშნულია, რომ მან, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთმა პირველმა მცხოვრებმა არა მარტო შეიარა თურქეთი და ინდოეთი, არამედ იყო ბირმაშიც, გადალახა ყარაყორუმის ყინულიანი მწვერვალები. იგი მიაჩნიათ ავტორად ბირმის პირველი რუსული აღწერისა უშუალო შთაბეჭდილებათა საფუძველზე, რადგან ათანასე ნიკიტინი ამას წერდა ინდოეთში გაგონილის საფუძველზე.

მე გამოვარკვიე, რომ თბილისში ცხოვრობენ რაფიელის შთამომავლები, რომლებიც დანიბეგოვის გვარს ატარებენ.

28 საუკუნის წინათ

დოლმენები სოფელ ეშერაში თავისთავად მოწმობენ, რომ ამ თვალწარმტაც ადგილას, ზღვაში ტრაგიკულად ჩაძირული ძველი ანტიკური ქალაქის დიოსკურიის მახლობლად, იყო ადამიანის სამოსახლო. ეშერის დოლმენების კარგად შენახული ჯგუფი ძირითადად თავმოყრილია 15 კილომეტრზე სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით მდინარე შიცკუარის კანიონის მწვანე ბორცვებზე. ეს თავისებური არქიტექტურული ნაგებობანი, რომლებიც ქვის სახლებს მოგვაგონებენ, თავის დროზე მიცვალებულთა სამარხები იყო. მეცნიერთა აზრით, ეშერის პირველი დოლმენები თარიღდება მეორე ათასწლეულით ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მაგრამ მათი გამოკვლევის დროს ნაპოვნი საგნები განეკუთვნებოდა უფრო გვიან პერიოდს — ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეს.

მეცნიერთა ექსპედიციამ ფარდა ახადა ანტიკური ეპოქის ეშერის ნასახლარის საიდუმლოებას. აი რა აცნობა ამის შესახებ ჩვენს კორესპონდენტს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. შამბამ:

— ექსპედიციას დასახული ჰქონდა ამოცანა განესაზღვრა ამ ძველი ისტორიული ძეგლის წარმოშობის თარიღი. ჩვენი ძიება წარმატებით დამთავრდა. 120 სანტიმეტრ სიღრმეზე ნაპოვნია თითქმის მთელი კერამიკული წყალსადენის მილი და რამდენიმე კრამიტი შავლაქიანი ჭურჭლის ნამსხვრევებთან ერთად. უფრო გვიან ვიპოვეთ თვით წყალსადენის ხაზიც, რომელიც გაყვანილი იყო 40-45 სანტიმეტრ სიღრმეზე. იგი შედგებოდა ცალკეული, ერთიმეორეში ჩასმული მილებისაგან და წასმული ჰქონდა კირის ხსნარი.

ნასახლარის ტერიტორიაზე გვხვდება აგრეთვე გადამწვარ წითელ თიხასთან არეული კერამიკული წიდა. ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქ იყო მეთუნეთა ღუმელები, სადაც ამზადებდნენ კრამიტს, წყალსადენის მილებს და სხვა კერამიკულ ნაწარმს.

ნაპოვნი საგნებით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ აქაური მოსახლეობა არ ყოფილა სოციალურად ერთგვაროვანი. ცალკეული ნაპოვნები მოწმობენ ძველ ეშერელთა ეკონომიურ ურთიერთობას ზღვისგაღმა ქვეყნებთან.

ᲒᲐᲣᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐᲡ

მანათობლები

ᲑᲔᲕᲠ თქვენგანს უნახავს ჩვენებური ციცინათელა, რომელიც ტყის პირას ბუჩქნარებში, ბაღებსა და ეზოებში დაფრინავს. ბავშვები ციცინათელას გულზე ან თმაზე დაისვამენ ხოლმე. ციცინათელას „ფარანი“ ხან ინთება და ხან ქრება.

მანათობელ მწერებს შორის ყველაზე უფრო კარგად სამხრეთ-ამერიკული პატარა მწერი — კუკუიო ანათებს. კუკუიოს მიერ გამოსხივებული სინათლე „მუდმივია“ და ციცინათელასავით წყვეტილ სინათლეს არ აფრქვევს. კუკუიოს შუქს ადგილობრივი მცხოვრებნი ოთახის გასანათებლად იყენებენ: სამოთხ კუკუიოს გამჭვირვალე ქილაში ჩასვამენ, თავზე გადააკრავენ დოლბანდს, დადებენ თახჩაზე და ოთახიც განათებულია.

სამხრეთ ამერიკელი ქალები კუკუიოს სამკაულად ხმარობენ. ამ მწერს დოლბანდის პარკში ათავსებენ და გულზე იკიდებენ, ან თმაში იმაგრებენ.

ზღვის სიღრმეში ბინადრობს პატარა კიბოსნაირი აკანთეფირა, რომელიც პირიდან „ცეცხლს“ აფრქვევს. ამ „ცეცხლით“ ის მტერს იგერიებს.

ზღვებსა და ოკეანეებში 900 მეტრის ქვემოთ ბევრი მანათობელი თევზი ცხოვრობს.

ზღვის ნათებას მეზღვაურთათვის დიდი სარგებლობა მოაქვს. ამ სინათლის შუქზე მეთევზეები თევზების ქარავანს ამჩნევენ. ხედავენ მოახლოვებულ საფრთხეს — სანაპირო კლდეებს და დროულად გაეცლებიან ხლმე იქაურობას.

არჩილ ჯანაშვილი,
პროფესორი.



პაპა და შვილიშვილი

[-10] Ф 38/30

მოკლედ...

ახალი საცხოვრებელი სახლები

გორი. ამ დღეებში შინდისის გზატკეცილზე ხარაჩოები შემოხსნეს 60-ბინიან საცხოვრებელ სახლს, ხოლო უნივერმაღის მოპირდაპირე მხარეს საძირკველი ჩაუყარეს ხუთსართულიან სახლს, რომელიც განკუთვნილია მეკონსერვეთათვის.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გორში 22 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადაეცა საექსპლოატაციოდ. მიმდინარე წლის დამლევისათვის ასობით ოჯახი მიიღებს ახალ ბინებს — 21 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს.


დიდი სამონადირეო მეურნეობა

ყვარელი. ოთხი წლის წინ შეიქმნა ყვარლის სამონადირეო მეურნეობა, რომელსაც 14.500 ჰექტარი ფართობი უკავია. მეურნეობაში უკვე ბინადრობს ჯიხვი, არჩვი, შველი, ხოხობი და კავკასიური ირემი.

მეურნეობაში ირმებისათვის მოეწყო სამარილეები, გარეული ღორისათვის ითესება მიწაშაშლა და სიმინდი, ხოხბისათვის ცოცხის სორგო, შველებისათვის მოხერხებულ ადგილებში ითიბება და იზვინება ბალახი.

ფოტოინფორმაცია







კალათბურთში სრულიად საკავშირო კატეგორიის მსაჯის **ნოდარ დარახველიძის** სახელი კარგად არის ცნობილი რესპუბლიკის სპორტსმენთათვის. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი უკვე 15 წელია ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად მუშაობს სოხუმის მე-17-ე საშუალო სკოლაში. სპორტით გატაცებამ, მრავალრიცხოვან შეჯიბრებაში მონაწილეობამ კალათბურთელთა რესპუბლიკური ნაკრების შემადგენლობაში, მსაჯობამ საკავშირო შეჯიბრებებში ნოდარს ხელი არ შეუშალეს წარმატებით დაემთავრებინა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტექნოლოგიის ფაკულტეტი.

სურათებზე: ნოდარ დარახველიძე კალათბურთის მატჩს მსაჯობს; ნოდარ დარახველიძის სადიპლომო ნაშრომი დასრულების სტადიაშია. სურათზე თქვენ ხედავთ ნოდარ დარახველიძეს (მარცხნივ) თავის ხელმძღვანელთან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტექნოლოგიის — კათედრის უფროს მასწავლებელთან დავით დედეარიანთან ერთად თამბაქოს ბოჭიმების ლაბორატორიაში; ნოდარს გატაცებით უყვარს მუსიკა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ოჯახურ ტრიოს: ნოდარს, რომელიც შესანიშნავად უკრავს სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, მის ქალიშვილს მანანას და ძმას — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, კომპოზიტორ ოთარ დარახველიძეს (მარჯვნივ) მისი ახალი ნაწარმოების გარჩევის დროს.

სპორტული მიმოხილვა

ჩვენი მიმოხილვა სიჭაბუკის I საკავშირო თამაშებით უნდა დავიწყოთ. კიევში გამართულ ამ შეჯიბრებაზე საქართველომ, როგორც სპორტული მიმომხილველები და სპეციალისტები აღნიშნავენ, არც თუ ისე სახარბიელო — მე-5 ადგილი დაიკავა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა წინ გაუშვეს მხოლოდ რუსეთის, უკრაინის, მოსკოვის და ბელორუსიის კოლექტივები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეხუთე ადგილი საპატიოა.

შეხვედრები. მარტის ამინდივით ჭირვეულობს თბილისის „დინამო“. ხან გაახარებს გულშემატკივრებს თავისი შესანიშნავი წარმატებებით, ხან გულს დაგვწყვეტს ხოლმე. რამდენიმე თამაშის წაგების შემდეგ მან სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. ორიოდე სიტყვა სატურნირო ცხრილზე: ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობს კიევის „დინამო“, მეორეზე — მოსკოვის „სპარტაკი“, მესამე ადგილისათვის ბრძოლა ძალიან დაძაბულია. მასზე ერთდროულად 5-6 კოლექტივი აცხადებს პრეტენზიას, მათ შორის თბილისის „დინამოც“. მოსკოვში 15 ივლისს ადგილობრივ „ტორპედოსთან“ ბრწყინვალე გამარჯვების (2:0) შემდეგ სპორტული კომენტატორები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ თბილისელი ფეხბურთელები ბრინჯაოს მედლებს არავის დაუთმობენ. მაგრამ მოხდა ისე, რომ დინამოელებმა წააგეს შეხვედრა კუიბიშევში, შემდეგ კი საკუთარ მოედანზე ფრეს დასჯერდნენ როსტოვის არმიელთა გუნდთან და ბრინჯაოს უკვე რამდენიმე გუნდი წაეპოტინა. მდგომარეობის გამოსწორება კიდევ ადვილად შეიძლებოდა, მაგრამ თბილისელებმა ქუთაისის „ტორპედოსაც“ „აჩუქეს“ ორი ქულა, შემდეგ კი, რაც ყველაზე დასანანია, დამარცხდნენ კიროვაბადის „დინამოს“ სუსტ კოლექტივთან (0:2). თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ კიროვაბადელებთან დამარცხებამდე დიდი ანგარიშით (4:0) დაამარცხეს ბაქოს „ნეფტჩის“ ფეხბურთელები.

უმაღლეს ლიგაში თბილისელთა დაცვას ახლა ყველაზე საიმედოდ თვლიან. მათ ჩემპიონატის მონაწილეთა შორის საკუთარ კარში ყველაზე ნაკლები ბურთი აქვთ გაშვებული, მაგრამ თავდასხმაში ყველაფერი რიგზე როდია. ერთადერთი, ვინც შეიძლება სასაყვედურო არ იყოს, არის მეტრეველი. ეს 32 წლის ფორვარდი კვლავ ჭაბუკური გატაცებით თამაშობს. უკვე ლაპარაკობენ, რომ მეტრეველს ჩვენი წლევანდელი ჩემპიონატის სეზონის № 1 ფეხბურთელის საპატიო სახელის მოპოვების რეალური შანსები აქვს. ფიფას გადაწყვეტილებით იგი შეყვანილია კანდიდატად ფიფას იმ ნაკრებში, რომელიც ბრაზილიის ეროვნულ გუნდს უნდა შეხვდეს „მარაკანას“ სტადიონზე 6 ნოემბერს.

ორიოდე სიტყვა ქუთაისის „ტორპედოზე“. ქუთაისელებმა რამდენიმე შეხვედრა ზედიზედ წააგეს და, როცა სატურნირო ცხრილის ბოლოში მოექცნენ, გამოფხიზლდნენ და ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგეს ლიდერებთან, ჯერ თბილისის „დინამოსთან“, მერე მოსკოვის „სპარტაკთან“, შემდეგ კი ფრეს დასჯერდნენ მოსკოვის „ლოკომოტივთან“. ქუთაისელთა სატურნირო მდგომარეობა მაინც არასახარბიელოა, ისინი ბოლოდან მესამე ადგილზე არიან.

ქართველ ფეხბურთელებს წინ პრინციპული თამაშები ელოდებათ.

ველოსპორტი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის მეხუთე ოქროს მედალი მოიპოვა წელს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ომარ ფხაკაძემ, რომელიც ახლა მეცადინეობს და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულზე ოცნებობს. ის ახლა ბრწყინვალე ფორმაშია. ახლახან ხარკოვში გამართულ შეჯიბრებაში ომარმა თავისუფლად მოიგო პირველობა სპრინტში, მას კონკურენტი არ ჰყოლია. ამასთან ერთი სენსაციაც მოახდინა, ძალა მოსინჯა გიტში და მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. როგორც ვიცით, გიტი არ არის ომარის „ძირითადი პროფესია“, იგი სპრინტერია.

მძლეოსნობა. ხარკოვში იუნიორთა ჩემპიონატში 100 და 200 მეტრზე რბენაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისელმა სტუდენტმა ვარდო ქუთათელაძემ. მიმომხილველები მას კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

შაჩიაობა. თბილისელმა გურამ კოსტავამ ვერცხლის მედალი დაიმსახურა სსრ კავშირის პირველობაზე.

ჰადრაკი. დუშეთში თამაშდება საქართველოს პირველობა ქალთა შორის. ჰადრაკში ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონობის მოპოვების კარგი შანსი აქვს ნანა ალექსანდრიას. წარმატებით გამოდის სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალში საქართველოს ჩემპიონი ვაჟთა შორის ბუხუტი გურგენიძე. იგი ტალინის ნახევარფინალში ლიდერია.

კვლავ ფეხბურთი და დავამთავროთ ჩვენი მიმოხილვა. „სიჭაბუკის თასი“ მოიპოვეს ქართველმა ფეხბურთელებმა. მათ 2:0-ზე ფინალში დაამარცხეს რუსეთის ფედერაციის გუნდი. ფეხბურთის სპეციალისტები და მიმომხილველები ამ წარმატებას „ქართველ ფეხბურთელთა ბრწყინვალე გამარჯვებად“ მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ საქართველოში მოწოდების სიმაღლეზე დგას ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდა და სწავლება.

რ. ჭელიძე.

ᲛᲝᲛᲣᲡᲐᲓᲘᲜᲔᲗ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საredაქციო კოლეგია

ჩვენი ᲕᲘᲚᲐᲥᲐᲕᲨᲘ

თბილისი, ზ. ათონელის, ქ. № 25.